

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მომზადება განპირობებულია „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. კერძოდ, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს საარჩევნო კოდექსით, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტის – დადგენილების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნების ერთიანი წესის შემოღებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტის - დადგენილების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნება მოხდეს იმავე წესით, როგორც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშია განსაზღვრული.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი - დადგენილება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნდეს იმავე წესით, როგორც ეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონშია განსაზღვრული. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსით ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნორმატიული აქტი – დადგენილება იუსტიციის სამინისტროს გადაეცემოდა სარეგისტრაციოდ და შემდგომ ხდებოდა მისი გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, ხოლო „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით პირველ ეტაპზე ხდება ნორმატიული აქტის გამოქვეყნება, შემდგომ რეგისტრაცია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებული აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტი არ იწვევს ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში ამ პუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები პავლე კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა, კახაბერ ანჯაფარიძე და ლაშა თორდია